ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4389860

ნომერი: AR1662010

თარიღი : 15.02.2019

გაცემის თარიღი : 25.02.2019

გაცნობის თარიღი : 26.02.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , არტემ ლუსინიანის ქუჩა N5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი სიჭინავა პ/ნ 01002010942
- ქ. თბილისი, კოტე მახარაძეს 4, ბინა 17

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: #134
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 25.02.2009

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების შენობა იალბუზის ქ. #7 და ლუსინიანის #5 ქუჩებს შორის
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი გიორგაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ამხანაგობა "სასკო ავლაბარი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206261230
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნიკოლოზ კობაჩიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01011014107

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2308.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1196.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 14949.92
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 9103.5
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 518.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 999.5
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1098.62
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 3229.8
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 47090.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 37406.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 9684.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 48.9
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 40.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 8.9
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1049.0:2308 კ1=0.4
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 10 768.5:2308 კ2=4.6
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 300.0:2308 კ3=0.1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 3997231
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 6.05.2018

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3997231
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 6.05.2018

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილათქვენს მიერწარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

1.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები. -> .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: მიუთითეთ № 2662535

2.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები. -> .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: მიუთითეთ 20/06/2016

3.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები -> .მშენებლობის ნებართვის ბრძანების

ნომერი. :მიუთითეთ № 2662535 (3997231; 05.06.2018)

4.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები -> .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : მიუთითეთ 20/06/2016

5.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: დაიტანეთ გამწვანებული ტერიტორია და დაიცავით დადგენილი პარამეტრები

6. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 22/02/2019 წ. №13-01190533196 წერილით არქიტექტურის სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ საპროექტო ობიექტის მშენებლობა ნაწარმოებია შეთანხმებული პროექტის დარღვევით. აქედან გამომდინარე და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო–სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და განაახლოთ არსებული ფოტოსურათები უახლესი მდგომარეობით.

7.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : გადაჭარბებულია კ2 კოეფიციენტი. 10 768.5:2308 კ2=4.66. გაითვალისწინეთ კ-2 მაჩვენებელი მრგვალდება მეათედის სიზუსტით და ამ შემტხვევაში კ2=4.7. გასათვალისწინებელია, რომ ქალაქმშენებლობითი პირობების გაცემის მომენტში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად პირველი მიწისზედა სართულის გარდა, სხვა მიწისზედა სართულზე არსებული კიბის უჯრედის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის და შესაბამის სართულზე არსებული ლიფტის შახტის საერთო ფართობის ის ნაწილი, რომელიც 40 მ2-ზე მეტია – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად; აივანის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის საერთო ფართობის ის ნაწილი, რომელიც გამოწეულია შენობა-ნაგებობის ფასადის გარე კედლიდან 1,5 მ-ზე მეტი მანძილით - კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად; ვერანდის, ერკერის, ლოჯის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობი - კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად.

8.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: დაიტანეთ ღიობებისა და აივნების საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებიდან დაშორების ზომები. ქალაქმშენებლობითი პირობების გაცემის მომენტში მოქმედი კანონმდებლობის საქ. ეკონომიკური განვითარების მინისტრის მიერ 8/07/2008 წლის #1–1/1254 ბრძანებით დადგენილი განაშენიანების რეგულირების ნორმების თანახმად შენობის სამეზობლო საზღვრის მხარეს კარის, ფანჯრის, სამტრედეს და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილის საანგარიშო ზედაპირზე მოწყობის სიმაღლე დამოკიდებულია შენობის სამეზობლო საზღვრის მხარეს არსებულ საანგარიშო ზედაპირსა და სამეზობლო საზღვრის წარმოსახვით ვერტიკალურ სიბრტყემდე პერპენდიკულარულ დაშორებაზე ქვემოთ მოცემული ჩამონათვალის შესაბამისად: ა) 3.0 მ დაშორების შემთხვევაში – 7.5 მ-მდე სიმაღლეზე; ბ) 3.0 მ-დან 10 მ-მდე დაშორების შემთხვევაში – შემდეგი ფორმულის შემდეგი შეფარდების შესაბამისად: დაშორება გაყოფილი 0.4-ზე; გ) 10 მ-ზე მეტი დაშორების შემთხვევაში – საანგარიშო ზედაპირის მაქსიმალურ სიმაღლემდე. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით არ არის გათვალისწინებული ზემოთაღნიშნული წესი და შესაბამისად დარღვეულია აღნიშნული წესების მოთხოვნები სამეზობლო მიჯნებთან მიმართებაში.

9.შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: სიმაღლის განმსაზღვრელი სქემა წარმოადგინეთ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.